როგორ გაშუქდა სირიის კონფლიქტი 2011 წლის მარტიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით რუსულ, გერმანულ, ბრიტანულ და ამერიკულ მედიაში

თამარ კარელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად

პროგრამა: მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დანელია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ კარელიძე,

2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება სირიის კონფლიქტის გაშუქების ტენდენციებს ამერიკულ, რუსულ, გერმანულ და ბრიტანულ მედიასაშუალებებში და ხაზს უსვამს იმ ძირითად ფაქტორებს, რაც პროცესის ყურადღების ცენტრში ყოფნას უშლიდა ხელს. ნაშრომის მიზანია, გამოარკვიოს, როდის მოხდა დასავლური მედიის განსაკუთრებული დაინტერესება სირიის სამოქალაქო ომით. კონფლიქტის დაწყებისთანავე თუ 2015 წლის ზაფხულის ბოლოდან, როდესაც მიგრანტებით დატვირთული პირველი ნავები მიადგა ევროპის სანაპიროებს.

საკითხის შესასწავლად გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ასევეთვისებრივი კვლევის მეთოდები. მიმოხილულ იქნა თემასთან დაკავშირებით არსებული მედიაკვლევების ნაწილი და გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, რაც, გავლენიან მედიასაშუალებებში, პრობლემის სრული სახით წამოჭრას სდევდა თან. ნაშრომის კვლევითი ნაწილი ასევე შეიცავს მიგრანტთა კრიზისის გაშუქების ტენდენციებს ოთხ ქვეყანასა და ოთხ პოლიტიკურ ვითარებაში. აქვე იკვეთება ის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებსაც ჟურნალისტები პროცესის შესახებ ინფორმაციის გადაცემისას მისდევდნენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მედია, სირია, ISIS, ტერორიზმი, მიგრანტთაკრიზისი.

Abstract

Present work refers to coverage tendencies of Syrian conflict in American, Russian, German and British media, underlining those major factors that prevented the process from being in the limelight. The work aims to clarify exactly when the western media showed the interest towards the Syrian Civil War, whether as soon as conflict started or from the end of 2015 Summer, when the first boats full of migrants reached the European shores.

For the purposes of researching the given issue, as quantitative as well as qualitative research methods were used. Part of the media researches existing on target issue were reviewed, thus, those major tendencies were cleared out, following the issue of fully showing the problem through the leading medias. Research part of the work also includes tendencies of coverage of migrant crisis in terms of four countries and four different political situation. There are also those major indicators, followed by the journalists, while spreading the information.

Key words: Media, Syria, ISIS, Terrorism, Migrant crisis.

მადლობა

მსურს, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც დახმარება გამიწია კვლევაზე მუშაობის პროცესში:

მადლობა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ნინო დანელიას, რომელიც ყოველთვის ცდილობდა მოეცა ღირებული რჩევები ნაშრომზე მუშაობის პროცესში;

მადლობა ჩემს დირექტორს, რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, ნათია კუპრაშვილს, რომელმაც მაქსიმალურად შემიწყო ხელი, რათა კვლევაზე მუშაობისათვის სათანადო დრო დამეთმო;

მადლობა ლევან შოშიაშვილს, რომლის ტექნიკური დახმარების გარეშეც კონტენტის ანალიზისას რაოდენობრივი კვლევა გაცილებით რთული და შრომატევადი იქნებოდა ჩემთვის;

განსაკუთრებული მადლობა ალან ქურდს. ბიჭს, რომლის ცხედარიც 2015 წლის 2 სექტემბერს, ხმელთაშუა ზღვამ თურქეთის საზღვაო კურორტ, ბოდრუმის სანაპიროზე გამორიყა და რომელმაც ევროპულ და ამერიკულ მედიაში სირიის კონფლიქტის გაშუქების ძირითადი ტენდენციების შესახებ, კვლევის იდეა მომაწოდა.